კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.moh.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 18 ოქტომბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
www.moh.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
56,00%
73,21%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
12,50%
35,00%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
80,00%
31,13%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
55,17%
47,28%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
30,77%
27,31%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
19,23%
30,40%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
20,00%
42,50%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
40,00%
20,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
37,50%
33,00%
0,00%
50,00%
100,00%

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სამინისტროს ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება მინისტრის კომპეტენციის აღწერა, აგრეთვე, მისი არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:

ანდრია ურუშაძე

დაბადების თარიღი: 1968 წლის 25 აპრილი ქ. თბილისი.

1993 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი.
1993-1994 წლებში იყო სამედიცინო ინსტიტუტის ასპირანტი ენდოკრინოლოგიის სპეციალობით.
1997 წელს დაამთავრა სახელმწიფო მოხელეთა კოლეჯი.
1998 წელს შვეიცარიაში გაიარა სპეციალური მომზადების კურსი სადაზღვევო კომპანიების მმართველი მენეჯერებისათვის.
1993 წლიდან 1995 წლამდე მუშაობდა საქართველოს ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდში ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე.
1995-1997 წლებში იყო საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის საერთაშორისო პროგრამების რეალიზაციის ბიუროს უფროსი.
1997 წლიდან 2005 წლამდე მუშაობდა სადაზღვევო კომპანია „ალდაგში" კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე.
2005 წლის სექტემბერს მუშაობა დაიწყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე, ხოლო 2006 წლის ოქტომბრიდან ასრულებდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან და შემდეგ მსოფლიო ბანკთან გაფორმებული კონტრაქტების საფუძველზე ჯანდაცვის პოლიტიკის ექსპერტის ფუნქციას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის.

2007 წლის ოქტომბერს დაინიშნა სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორად, ხოლო 2010 წლის 13 აგვისტოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილედ.

2010 წლის 10 სექტემბერს დაინიშნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრად.
არის ერთი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი და თანაავტორი პუბლიკაციისა „საქართველოს ჯანდაცვის და სოციალური პოლიტიკის ძირითადი პირნციპები".

- არ მოიძიება სამინისტროს მოადგილეების ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, აგრეთვე, მათი არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღებების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

ამასთან, სამინისტროს მოქმედი დებულების თანახმად, მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე (ირაკლი ნადარეიშვილი) არის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორი. სასურველია, აღნიშნულთან დაკავშირებით იყოს მითითება:



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე

ირაკლი ნადარეიშვილი

დაბადების თარიღი: 1976 წ. 29 მაისი. ქ. თბილისი.

განათლება: 1993 - 1998 წწ. - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, ბაკალავრის ხარისხი

2007-2008 წწ. - ოქსფორდ ბრუკს უნივერსიტეტი. საერთაშორისო უმრავი ქონება, მაგისტრის ხარისხი. დისერტაცია დაცული აქვს თემაზე "უმრავ ქონებაში არაპირდაპირი ინვესტირების მექანიზმების მიზანშეწონილობა განვითარებად ეკონომიკებში.
საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტი.

2011 წ. საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია IFC. სოციალური და გარემოს დაცვითი პროექტების მართვა.

სამუშაო გამოცდილება: 2010 წლიდან არის ბრიტანეთის შემფასებელთა სამეფო საზოგადოების აკრედიტებული წევრი.

2010-2011 ს.ს. იბერია უმრავი ქონება, გენერალური დირექტორი.

2008 - 2010 წწ. - ERNST AND YOUNG LLC - კიევის ოფისი, მთავარი კონსულტანტი.

2006 - 2007 წწ. - D.eA. GEORGIA (UKAS აკრედიტებული ISO სერტიფიცირების წარმომადგენლობითი ოფისი) თანადამფუძნებელი.

2005 - 2006 წწ. - INSURANCE BROKERS AND CONSULTANTS LTD, მთავარი აღმასრულებელი, თანადამფუძნებელი.

2004 -2005 წწ. - სადაზღვევო კომპანია "ალდაგი", აღმასრულებელი დირექტორი, გაყიდვების დეპარტამენტი.

2. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, სამინისტროს შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა და სამინისტროს ფაქსის ნომერი.

3. არ მოიძება სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერი, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „მედია ცენტრი“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „კონტაქტი“ მოცემულია მხოლოდ სამინისტროს ცხელი ხაზის ნომერი:



4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს სისტემის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სამინისტროს ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქ ვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკონტაქტო ტელეფონის ნომრები, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები, აგრეთვე, არ მოიძიება სამინისტროს მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი:



5. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სამინისტროს დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია, აგრეთვე, არ არსებობს შესაბამისი (ქვე-)განყოფილება.

6. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სამინისტრო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სამინისტროს შესახებ“ – „მისია/მიზნები“ მოცემულია მწირი ინფორმაცია სამინისტროს მიზნების შესახებ. სასურველია, აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში განთავსდეს სამინისტროს მოქმედი დებულების თანახმად განსაზღვრული სამინისტროს კომპეტენციის, საქმიანობის სფეროსა და ამოცანების აღწერა:



მისია/მიზანი

საქართველოს შრომის ჯანმრთველობის და სოციალური დაცვის სამინისტრი ახორციელებს სახელმწიფო მმართველობას და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას შრომის, ჯანრთელობის და სოციალური დაცვის სფეროებში.

სამინისტროს მიზანია ხელი შეუწყოს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, უზრუნველყოს ჯანრთელი გარემო ცხოვრებისა და მუშაობისთვის.

სამინისტროს საქმიანობა მოიცავს მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურების და საზოგადოებრივი ჯანდაცვის უზრუნველყოფას; სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირებას; სახელმწიფო პენსიების მართვას, მოსახლეობის მიზნობრივი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფას; უსაფრთხო გარემოს შექმნას ცხოვრებისა და შრომისათვის; მეურვეობისა და მზრუნველობის ფუნქციის განხორციელებას, შვილად აყვანასთან და ბავშვის უფლებების და ინტერესების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ჩამონათვალი;

- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ძირითადი ამოცანებისა და კომპეტენციის აღწერა;

- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და აგრეთვე, მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სამინისტრო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სამინისტროს შესახებ“ - „სტრუქტურა“ მოცემულია სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების მხოლოდ სახელები და გვარები:



- არ მოძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

სამინისტროს სტრუქტურული ხეზე აღნიშნულია საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი, თუმცა სამინისტროსთან სატელეფონო კავშირის შედეგად გაირკვა, რომ მოცემული საჯარო დაწესებულება აღარ წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, სასურველია, ხსენებულთან დაკავშირებით გაკეთდეს მითითება:

8. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო დაწესებულებების - აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების შესახებ შემდეგი სახის სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების კომპეტენციის, ფუნქციებისა და მიზნების აღწერა;

- არ მოიძიება აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და აგრეთვე, საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

- არ მოიძიება აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითება) და შენობათა მდებარეობის (ქუჩების) აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები;

- არ მოიძიება აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების ელექტრონული ფოსტის მისამართები, ფაქსის ნომრები და აგრეთვე, მათი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

9. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს სათათბირო ორგანოების შესახებ არანაირი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოძიება სამინისტროს სათათბირო ორგანოების დასახელებები;
- არ მოძიება სამინისტროს სათათბირო ორგანოების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, აგრეთვე, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები;
- არ მოძიება სამინისტროს სათათბირო ორგანოების სტრუქტურა და შემადგენლობა;
- არ მოძიება სამინისტროს სათათბირო ორგანოების ოქმები (საოქმო ჩანაწერები) და სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები (ინფორმაციული ხასიათის ცნობები).

➢ **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

10. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა არქივი, ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, სამინისტროს საქმიანობის ამსახველი წლიური ანგარიშები, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული სამოქალაქო თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმები, პროგრამები, სამინისტროში შესული საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული ყოველწლიური ცნობები *და ა.შ.*

ამასთან, არ იხსნება ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში, სათაურად „ჯანმრთელობის დაცვა“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ეროვნული მოხსენება“ განთავსებული შემდეგი ბმულები:



აგრეთვე, არ იხსნება ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში, სათაურად „ჯანმრთელობის დაცვა“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ჰოსპიტალური სექტორი“ განთავსებული პირველი ბმული:



- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

11. ვებ-გვერდზე არ მოიძიება მინისტრის მოადგილეთა ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ ცნობები.



12. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „წლიური ანგარიშები“, სადაც განთავსდებოდა საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები.

13. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებებში „სოციალური დაცვა“ და „ჯანმრთელობის დაცვა“ არსებულ ქვე-განყოფილებებში „პროგრამები“ განთავსებულია მხოლოდ პროგრამების დამტკიცების შესახებ სამართლებრივი აქტები:





სასურველია, აღნიშნულ ქვე-განყოფილებებში განთავსდეს აგრეთვე, სახელმწიფო, მიზნობრივი და ა.შ. პროგრამების ჩამონათვალი, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამინისტრო (მათ შორის, სამინისტროს მიერ ინდივიდუალური სამედიცინო მომსახურების უზრუველყოფისათვის შემუშავებული სახელმწიფო პროგრამები, აგრეთვე, მიზნობრივი სოციალური დახმარებით მოსახლეობის უზრუნველსაყოფად შემუშავებული შესაბამისი პროგრამები), პროგრამების შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, აგრეთვე, ცნობები იმ პროგრამების ფარგლებში მიმდინარე

ღონისძიებების შესახებ. *(პროექტ**„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ამომწურავი ჩამონათვალი, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამინისტრო, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ გმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/programebi_jandacva.pdf*

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2010 წლის პირველი იანვრიდან 2010 წლის 19 ოქტომბრამდე სამინისტროს კომპეტენციის სფეროში განხორციელებული პროექტებისა და პროგრამების ჩამონათვალი, რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ გმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/proeqtebi_da_programebi0001.pdf).

14. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „პროექტები", მოცემულია მხოლოდ მიმდინარე პროექტების ჩამონათვალი, ხოლო მოცემული განყოფილების ქვე-განყოფილება სათაურად „განხორციელებული პროექტები" ცარიელია:





სასურველია, მოცემულ განყოფილებაში განთავსდეს აგრეთვე, პროექტების შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები და ასევე, ცნობები პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ.

15. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სოციალური მედია“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „პარტნიორი ორგანიზაციები“ განთავსებულია მხოლოდ პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდებზე გადასასვლელი ბმულები, სასურველია, აქვე მოყვანილ იქნეს პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა:

პარტნიორი ორგანიზაციები

ბავშვზე ზრუნვა

1. SOCO Foundation - სანდრა ელისაბედ რულოვსი www.soco.ge
2. ფონდი "პირველი ნაბიჯი საქართველო" First Step Georgia - მაგული მაღაშვილი www.firststepgeorgia.org
3. საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის ცენტრი PHMDF - ლია სარალიძე
4. "საქართველოს ბავშვები" - ჯაბა ნაჭყებია www.cog.ge
5. კავშირი "ბავშვი და გარემო" - ნანა იაშვილი http://www.childandenvironment.org.ge/
6. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი - გიორგი ტულუში www.ombudsman.ge
7. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია GASW - სალომე ნამიჭეიშვილი
8. საზოგადოება "ბილიკი" - მარიკა მღებრიშვილი www.biliki.ge
9. არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი" - მარინა თოფურია www.apk.ge

საერთაშორისო ორგანიზაციები

1. United Nations Children's Fund - UNICEF http://www.unicef.org/georgia/
2. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია - www.ilo.org
3. United States Agency for International Development - USAID http://georgia.usaid.gov/index.php?m=19&lang=geo
4. ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია "ევრიჩაილდი" - ანდრი დადიანი www.everychild.org.uk
5. ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში - ნიკა ყოჩიშვილი delegation-georgia@ec.europa.eu
6. საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი" - თამარ შარაშიძე http://www.caritas.ge/
7. "Save the Children" Georgia office - www.savethechildren.org

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

16. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სოციალური დაცვა“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „კანონმდებლობა“ განთავსებული სამართლებრივი აქტების უმეტესობა მოცემულია ძველი მდგომარეობით, მათ შორის, ქვე-განყოფილებაში „სამინისტროს შესახებ“ განთავსებული სამინისტროს დებულებაც.

ამასთან, სამართლებრივი აქტები აგრეთვე, მიმოფანტულია ვებ-გვერდზე არსებულ შემდეგ ქვე-განყოფილებებში:

- განყოფილებებში „ჯანმრთელობის დაცვა“ და „სოციალური დაცვა“ არსებულ ქვე-განყოფილებებში „პროგრამები“:



- განყოფილებაში „ჯანმრთელობის დაცვა“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „რეგულირება“:



- განყოფილებაში „ჯანმრთელობის დაცვა“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ჯანდაცვის სისტემის შეფასება“:



- განყოფილებაში „ჯანმრთელობის დაცვა“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „კლასიფიკატორები“:



სასურველია, აღნიშნულ ქვე-განყოფილებებში მიმოფანტული სამართლებრივი აქტები თავმოყრილად იქნეს წარმოდგენილი ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში „კანონმდებლობა“. მოცემულ ქვე-განყოფილებაში სასურველია, განთავსდეს აგრეთვე, სამინისტროს საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები, აგრეთვე, იურიდიული დეპარტამენტის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ნორმატიული აქტებისა და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების პროექტები; სასურველია ასევე, მოიძებდოეს მინისტრის მიერ დამტკიცებული სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებათა სტრუქტურა, საქმისწარმოების წესები და დებულებები, სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესი და პირობები. სასურველია, ასევე, განთავსდეს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მიერ შემუშავებული დანიშვნა-გათავისუფლების, გადაყვანის, მივლინების, წახალსიებისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკისრების შესახებ სამართლებრივი აქტების პროექტები;

სასურველია, აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში აგრეთვე, მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;

- საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებებისა და საქმიანობის წესის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საპარლამენტო მდივნის შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 21 იანვრის N42 ბრძანებულება საქართველოს კანონის „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ ამოქმედებასთან დაკავშირებით ნორმატიული აქტის დამტკიცების თაობაზე;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“.

➢ **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

17. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

18. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სამინისტროში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“** ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი", ინსტიტუტმა საქართველოს პარლამენტიდან გამოითხოვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო საჯარო ინფორმაციის გაცემის წლიური ანგარიში, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/shroma0001.pdf).*

19. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს იმ თანამდებობის პირთა სახელები და გვარები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სანებართვო-სალიცენზიო, სარეგისტრაციო ქმედებათა განხორციელებაზე, აგრეთვე, ზემოთხსენებულ პირთა საკონტაქტო რეკვიზიტები (ტელეფონის ნომრები, ელ. ფოსტები).

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

20. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სამინისტროსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, სამინისტროსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

21. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სამინისტრო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სამინისტროს შესახებ“ – „ტენდერები“ განთავსებულია მხოლოდ სამინისტროს მიერ 2010 წელს განხორციელებული ტენდერების ჩამონათვალი:

2010 წელს განხორციელებული ტენდერები

	ტენდერის დასახელება	ლოტი	თანხა	ხელშეკრ. დადების თარიღი და№	ორგანიზაცია
1	ცოცხალი დაცვის მომსახურების შესყიდვა	სამინისტროს ბალანსზე რიცხული შუხრანის №2 საწყობის დაცვა	154377	29.01.2010 №25/ბ	შპს. სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი“
		ადმინისტრაციული შენობის დაცვა			
		ქობულეთის რაის სოფელ ხუცუბანში მდებარე სამინისტროს ეკუთვნილი მატერიალური რესურსების საწყობების დაცვა			
		სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ადმინისტრაციული შენობების დაცვა		29.01.2010 №26/ბ	შპს „დაცვის სამსახური მგელები“
2	საწვავის შესყიდვა	ბენზინი 98 ოქტანობის „სუპერი“ 14400 ლიტრი	291776	01.02.2010 №31/ბ	შპს „რომბეტონელ საქართველო“
		ბენზინი 95 ოქტანობის „პრემიუმი“ 16000 ლიტრი			
		ვერო-დიზელი 16000 ლიტრი			
3	პოლიგრაფიული მომსახურების შესყიდვა	პოლიგრაფიული მასალის მეტდა დამცავი ნიშნების გარეშე	28600	08.04.2010 №74/ბ	შპს „სმაგი L“
		ამოსტილისა და ლეგალიზაციის ოფიციწებადი ქაღალდის დამზადება		08.04.2010 №73/ბ	შპს „ალბადონი+“
		ვეტერანის მოწმობის დამზადება		ჩაიშალა	
4	პოლიგრაფიული მომსახურების შესყიდვა	ვეტერანის მოწმობის დამზადება	80000	05.07.2010 №135/ბ	შპს „ვესტა“
5	კომპიუტერული ტექნიკის და პერიფერიული მოწყობილობების შესყიდვა	კომპიუტერული ტექნიკის და პერიფერიული მოწყობილობები	340646	14.07.2010 №143/ბ	შპს „ესაბი“
	სულ		895399		

სასურველია, აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში განთავსდეს აგრეთვე, სამინისტროს დაწესებულების მიერ 2011 წელს და 2010 წლამდე განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, სამინისტროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“** ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი", საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის*

სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების , პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროსმიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ გმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/jandacva_shesyidvebi.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2010 წლის პირველი იანვრიდან 2010 წლის 19 ოქტომბრამდე სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერებისა და შესყიდვების სრული ჩამონათვალი, რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროსმიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ გმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/_shesyidvebi0001.pdf).

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

22. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სამინისტრო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სამინისტროს შესახებ“ – „ვაკანსიები“ განთავსებულია ერთადერთი განცხადება:

ვაკანსიები

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აცხადებს სტაჟირებას სამინისტროს შემდეგ დეპარტამენტებში:

1. ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი;
2. იურიდიული დეპარტამენტი.

სტაჟირება იურიდიული დეპარტამენტში

სტაჟირების კურსის მაქსიმალური ხანგრძლივობაა ექვსი თვე და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულებსა და დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
• უმაღლესი განათლება იურიდიულ ან მომიჯნავე სპეციალობაში;
• ინგლისური ენის ცოდნა (სასურველია);
• კომპიუტერული უნარ-ჩვევები.

პიროვნული თვისებები:
• ანალიტიკური აზროვნება;
• კომუნიკაბელურობა;
• პასუხისმგებლობის გრძნობა, პუნქტუალურობა;
• ორგანიზაციული უნარი;
• სწრაფად სწავლის უნარი.

იურიდიული დეპარტამენტი პასუხისმგებელია

სამართალშემოქმედებით საქმიანობაზე - როგორც საკანონმდებლო, ისე კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებიის პროექტების მომზადება/ექსპერტიზაზე, სამინისტროს წარმომადგენლობაზე ყველა ინსტანციის სასამართლოში.

საჭირო დოკუმენტაცია: CV, (ფოტოსურათით) სამოტივაციო წერილი (ქართულ ენაზე).
კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება CV-ის მიხედვით;
მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება.

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2011 წლის 15 აპრილი. საბუთების მიღება წარმოებს ელ ფოსტის მეშვეობით. გთხოვთ, წერილის სათაურში მიუთითოთ დეპარტამენტის დასახელება.

სასურველია, აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში განთავსდეს ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სამინისტროს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და

შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

23. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის შემდეგი ინფორმაცია:

- არ მოიძიება სამინისტროს ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების/ ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბალანსი), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/jandacva_biujeti.pdf);*

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა სამინისტროს თანამშრომელთა სია თანამდებობების მიხედვით და თითოეულ თანამდებობრივ სარგოებზე (ცალ-ცალკე) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხების ოდენობა 2009/2010 წლების განმავლობაში, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/d_last_added_file.pdf);*

- არ მოიძიება სამინისტროს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების***

განვითარების ინსტიტუტი", საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე),გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/jandacva_xelfasipremia0001.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2009 წლის მთლიანად და 2010 წლის პირველი იანვრიდან 2010 წლის 19 ოქტომბრამდე, მინისტრის, მინისტრის მოადგილეების, სტრუქტურული ქვედანაყოფების, ხელმძღვანელი პირების და მათი მოადგილეების თანამდებობრივი სარგოების და სახელფასო დანამატების ოდენობა (ცალ-ცალკე), რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/last_added_file.pdf).

- არ მოიძიება სამინისტროსათვის პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაცია.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
66,67%
2. ძიება
60,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
62,50%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
50,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
46,67%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
84,21%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
71,43%
9. ელექტრონული ჩართულობა
33,33%
10. ელექტრონული სერვისები
8,33%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
33,33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
46,15%
0
0,2
0,4
0,6
0,8
1

- **ნავიგაცია**

ნავიგაციის პანელზე არ არის განთავსებული საკონტაქტო ბმული ან შესაბამისი ბანერი, რაც ართულებს საკონტაქტო გვერდის ძიებას:

- **ძიება**

ძიების მოდულში ავტომატურად მითითებული ლათინური ფონტით წერა, მომხმარებელს უნდა ჰქონდეს საშუალება აირჩიოს ლათინური ფონტით სურს ძიების განხორციელება თუ ქართული ფონტით:



ძიების მოდულის გამოყენების შემდეგ დაიწერა, რომ ნაპოვნია 2 შედეგი, ხოლო შედეგების გადახედვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ რეალურად მხოლოდ 1 რესურსი იყო მოძიებული:



- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

მცირე ხარვეზი, რაც უარყოფითად მოქმედებს ინფორმაციის მარტივად აღქმაზე, არის სიახლეების თარიღის არასწორი ადგილმდებარეობა:

ერთი შეხედვით ჩანს, რომ ეს თარიღი ეკუთვნის მის დაბლა მდებარე სიახლეს, თუმცა რეალურად ეკუთვნის მის ზემოთ მდებარე სიახლეს;

- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

საკონტაქტო ფორმას სასურველია ქონდეს დამცავი (Captcha) კოდი, რომელიც დაიცავს სერვერს არასასურველი ელ.გზავნილებისგან:



- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდზე დაშვებულია მცირე სტრუქტურული ხარვეზი (მწვანე ღილაკი არ უნდა კვეთდეს ხაზს):

- **ელექტრონული სერვისები**

ონლაინ სერვისები ვებ-გვერდისგან განსხვავებით შექმნილია სხვა ტექნოლოგიის გამოყენებით, ის უფრო სწრაფი და კომფორტულია. თუმცა, გამორჩენილია ისეთი მნიშვნელოვანი დეტალი როგორიც არის URL-ს ცვლილება, ანუ ყოველ გვერდზე გადასვლის შემდეგ ახალი ვებ-გვერდის ბმულის გენერაცია. შედეგად შეუძლებელია ონლაინ სერვისების რომელიმე ერთი კონკრეტული გვერდის გავრცელება, გაგზავნა ან გაზიარება:



ონლაინ სერვისების გვერდზე, სავარაუდიდ ამ ეტაპზე, არ ფუნქციონირებს ღილაკი „ვრცლად“:



- **დამატებითი პარამეტრები**

ერთი შეხედვით გაუგებარია თუ რისთვის გამოიყენება სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული google-ის ლოგო:



ლოგოზე დაჭერით გადავდივართ ფაილზე, სადაც მოცემულია google analytics-ის მონაცემები. სასურველია ლოგოს გასწვრივ აღინიშნოს, რომ ეს არის სტატისტიკური მონაცემები;

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდზე განთავსებულია სხვადასხვა ელექტრონული სერვისები, რაც არც თუ ხშირი შემთხვევაა საქართველოს ოფიციალურ ვებ-სივრცეში. სამწუხაროდ, მონიტორინგის პერიოდში ჩვენ არ გვქონდა საშუალება სრულად შეგვემოწმებინა ყველა ონლაინ სერვისი, რადგან უმეტესობა მათგანი ითხოვს ავტორიზაციას (მომხმარებლის რეგისტრაციას).

პრობლემებიდან რაც უნდა აღინიშნოს, არის ვებ-გვერდის „მძიმე“ მუშაობა, რისი მიზეზიც არის პროგრამული კოდის მეშვეობით სურათების გენერაცია. ასევე ვებ-გვერდს არ აქვს ისეთი მცირე მაგრამ მნიშვნელოვანი სერვისები, როგორიც არის სიახლეების გამოწერის მოდული, ამოსაბეჭდი ვერსიის ცალკე არსებობა და სხვა.